

უაკ - 78

„შეხვეტილიანის“ ციკლის ისტორიული ჩამოყალიბებისა და მუსიკალური თავისებურებების კვლევის საკითხისთვის

მონოზონი ნინო სამხარაძე

ხელმძღვანელი: ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ასოც. პროფ. თამარ ჩხეიძე
თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია,
გრიბოედოვის ქ. 8/10

ანოტაცია: დიდი პარასკევის ცისკრის განგების დასდებლები, რომელიც ქართულ ტრადიციაში „შეხვეტილიანის“ სახელწოდებითაა ცნობილი, 70 საგალობლისაგან კონსტრუირებულ ციკლს წარმოადგენს და ორ დიდ მონაკვეთად იყოფა.

ქართულ ტრადიციაში დიდი პარასკევის ცისკრის განგების ჩამოყალიბების ცალკეული ისტორიული ეტაპები, სტრუქტურა და ლიტურგიკულ ტრადიციაში დამკვიდრება ქართველი (კ. კეკელიძე, ე. მეტრეველი, ლ. ხევსურიანი) და უცხოელი მეცნიერების (პ. ლეები, ა. ბაუმშტარკი, ა. დიმიტრიევსკი, ი. კარაბინოვი) მრავალ გამოკვლევაშია განხილული. ციკლის მუსიკალური აგებულებას აგრეთვე განიხილავს „შეხვეტილიანის“ პირველი მკვლევარი, მუსიკისმცოდნე მ. ღვთისიაშვილი, თუმცა მის ნაშრომში აქ გამოყენებული ჰანგების რაობის შესახებ არაფერია ნათქვამი.

წინამდებარე სტატია მიზნად ისახავს აღნიშნული განგების ისტორიული ევოლუციის სრული სურათის ასახვას შესაბამის ლიტურგიკულ ძეგლებზე დაყრდნობით. წყაროები მოიცავენ პერიოდს IV ს-დან იმ დრომდე, ვიდრე განგების განვითარება საბოლოოდ არ დასრულდა ანტონ კათალიკოსის მიერ XVIII ს-ში. ამასთან, სტატიაში განხორციელებულია ციკლის სტრუქტურის მუსიკალური ანალიზი, რომლის საფუძველზეც გამოთქმულია მოსაზრება აქ გამოყენებული ჰანგების წარმომავლობისა და ლიტურგიკული ფუნქციის შესახებ. სწორედ, აღნიშნულმა კვლევის შედეგებმა მიგვიყვანა იმ ჰიპოთეტურ დასკვნამდე, რომ დაგვეყენებინა საკითხი ტერმინ „შეხვეტილიანის“ ახლებურ გაგებასთან დაკავშირებით.

საკვანძო სიტყვები: საგალობელი, ვნების პარასკევი, „შეხვეტილიანი“, დედან-ჰანგი.

დიდი პარასკევის ცისკრის განგების დასდებლები, რომელიც ქართულ ტრადიციაში „შეხვეტილიანის“ სახელწოდებითაა ცნობილი, 70 საგალობლისაგან კონსტრუირებულ ციკლს წარმოადგენს. იგი ორ მონაკვეთად იყოფა, რომლის პირველი ვრცელი ნაწილი საიდუმლო სერობის გადმომცემ ტროპარს „რაჟამს დიდებულნი მოწაფენი“, 15 აღსავალსა და 5 წარდგომას მოიცავს. მეორე მონაკვეთი – „ნეტარ არიანის“ საგალობელს უჭირავს თავისი ჩასართავებით, ორგანულად ერწყმის გოლგოთის ტრაგიზმს და ციკლის პირველი ნაწილის სამომდგრეობო თემას განავრცობს.

აღნიშნულმა განგებამ ვრცელი და საინტერესო ისტორიული განვითარების გზა განვლო. იგი იერუსალიმის წიაღში წარმოიშვა და ორგანულად არის მასთან დაკავშირებული. მიზანი ამ მსახურებისა იმთავითვე მდგომარეობდა იმაში, რომ ქრისტეს ვნების დღეს მორწმუნე ერს მისი მიწიერი ცხოვრების უკანასკნელ ამბებთან დაკავშირებული წმიდა ადგილები მოენახულებინა და თაყვანი ეცა. უძველესი წერილობითი ცნობები ამ განგების შესახებ „წმიდა კირილე იერუსალიმელის საუბრებმა“ და IV საუკუნის პილიგრიმის, „ეგერიას დღიურმა“¹ შემოგვინახა. იერუსალიმური ღვთისმსახურების ამსახველი ისეთი მნიშვნელოვანი ძეგლების შესწავლა, როგორც არის დასახელებული „მოგზაურობა“ [1:35-37 თავები], იერუსალიმური ლექციონარის სომხური რედაქციები V-VI სს². [2], იერუსალიმური ლექციონარის ქართული რედაქციები VII-VIII სს. [3:74-79; 4:93-96] და იადგარის ნუსხები³ უჩვენებს, რომ ვნების პარასკევის განგებას საუკუნეების მანძილზე განვითარება განუცდია და დასახელებული ძეგლები ამ განვითარების სხვადასხვა ეტაპს ასახავს. იერუსალიმურ ტრადიციაში განგების ჩამოყალიბების უკანასკნელ მოწმედ X საუკუნის ქრისტეს საფლავის ტიპიკონი⁴ ითვლება, რომელიც 1122 წელს გადაწერილი ნუსხითაა მოღწეული და გამოცემულია ა. პაპადოპულო-კერამევსის მიერ .

დასახელებული ძეგლების მიხედვით მსახურება მთელი ღამის განმავლობაში აღესრულებოდა, რის გამოც განგებას უძველესი იადგარი „შუალამისანის“ უწოდებს [5:191]. ღამისთევა დიდ პროცესიას, ლიტანიას წარმოადგენდა, რომელშიც სამღვდლოებასთან ერთად მრევლიც მონაწილეობდა. პროცესია ქრისტეს ვნებასთან დაკავშირებული ერთი წმიდა ადგილიდან მეორეში გადადიოდა. ამა თუ იმ ადგილთან დაკავშირებული მოვლენების გახსენება სახარებიდან შესაბამისი ეპიზოდების კითხვით გამოიხატებოდა. საკითხავები სახარებიდან, მსვლელობის არსებითი ელემენტი იყო, რომელთა გარშემოც ჯგუფდებოდა საგალობლები შემდეგი თანმიმდევრობით: 1 ანტიფონი, 1 ფსალმუნი, რასაც მოსდევდა სახარება და მუხლდრეკის ლოცვები. დროთა განმავლობაში მატულობდა და ნაწილობრივ იცვლებოდა წმიდა ადგილები, შესაბამისად მატულობდა საკითხავთა რიცხვი და მასთან კომპოზიციურად დაკავშირებული ფსალმუნები და გალობები. თვალსაჩინოებისათვის წარმოვადგენთ ლიტიათა ცხრილს იერუსალიმური პრაქტიკის ამსახველი ხუთი ძეგლის მიხედვით,

¹ ეგერია (ზოგ წყაროში სილვია აკვიტანელი) — პილიგრიმი ქალი გალიიდან, რომელმაც მოილოცა წმიდა ადგილები: ეგვიპტე, სინას მთა, მცირე აზია, სირია. სამი წელი დაჰყო პალესტინასა და იერუსალიმში, დაახლ. 381-384 წლებში. ერთი ცნობით იყო მონოზონი, მეორე ცნობით კი, მდიდარი ქალბატონი, რომელსაც თავისი დროის საუკეთესო განათლება ჰქონდა მიღებული. მან დაგვიტოვა თავისი მოგზაურობის ვრცელი ჩანაწერი, სათაურით „Itinerarium Egeriae“, რომლის ფრაგმენტი XI საუკუნის ლათინური კოდექსშია ჩართული. მის ნაშრომს თანამედროვე კვლევებში სხვადასხვა სახელით მოიხსენიებენ, როგორცაა „ეგერიას მომლოცველობა“, „ეგერიას დღიური“, „მოგზაურობა წმიდა მიწაზე“ და სხვა. ეგერიას წერილები ამჟამად იტალიაში, რომის მახლობლად მდებარე მონტე კასინოს მონასტრის არქივშია დაცული.

² Paris. Arm. 44 - დაცულია საფრანგეთში, პარიზის ეროვნულ ბიბლიოთეკაში. ხელნაწერი 417-439 წლების იერუსალიმური ღვთისმსახურების წესს ასახავს.

Hieros Arm. 121 - დაცულია წმიდა ქალაქ იერუსალიმში, იაკობის სომხურ მონასტერში. მასში ასახულია 439-582 წლების იერუსალიმური საღვთისმსახურო პრაქტიკა.

³ A – 2123, Sin. 18, Sin. 40, Sin. 34, Sin. 59, Sin. 64.

⁴ Hieros. S. Crucis. 43

საიდანაც ნათლად ჩანს, რომ ქართული, სომხური და 1122 წლის ტიპიკონის ლიტიათა თანმიმდევრობა შორს არ წასულა ეგერიას ჩანაწერებისაგან.

ლიტიათა თანმიმდევრობა IV-X სს-ის იერუსალიმური წარმოშობის ხელნაწერებში

ეგერია (IV საუკუნის II ნახ.)	სომხური -V ს-ის I ნახ. (Paris. arm.44)	სომხური -V-VI სს. (Hieros. arm 121)	ქართული -VII-VIII სს. (კალ. ლატ. Sin. Par. ნუსხების მიხ.)	1122 წლის ტიპიკონი (Hieros. S. Crucis. 43)
1) ელეონი; 2) „ლოცვის ადგილი“; 3) გეთსემანია; 4) გოლგოთა.	1) ელეონი; 2) ელეონი; 3) „ლოცვის ადგილი“; 4) გეთსემანია; 5) წმ. პეტრე; 6) გოლგოთა. 7) გოლგოთა.	1) ელეონი; 2) ელეონი; 3) „ლოცვის ადგილი“; 4) გეთსემანია; 5) გოლგოთა; 6) წმ. სოფია; 7) გოლგოთა.	1) ელეონი; 2) ელეონი; 3) დაზუსტებით არ ჩანს III ლიტის შესრულების ადგილი; 4) გეთსემანია; 5) წმ. პეტრე; 6) წმ. სოფია; 7) გოლგოთა.	1) სიონი; 2) ელეონი; 3)თაყვანისცემის მთა - განცდის ადგილი; 4) გეთსემანია; 5) წმ. პეტრე; 5) წმ. სოფია; 6) მთავარი ტაძარი; 7) გოლგოთა.

„ეგერიას მოგზაურობაში“ აღნიშნული რიტუალური წესი დანარჩენი ტიპიკონებისგან განსხვავდება მხოლოდ იმით, რომ იგი არ იცნობს პეტრეს ბაზილიკასა და იუსტინიანე იმპერატორის ახალ ეკლესიას (იგულისხმება წმიდა სოფიას ტაძარი), გასაგები მიზეზის გამო. არც ერთი მათგანი IV საუკუნეში არ არსებობდა. ისინი V და VI ს-ის პირველ ნახევარში იქნა აგებული. ამდენად, ლიტიათა რიცხვის ზრდა მაცხოვრის ვნების ადგილებში ახალი ეკლესიების აშენებასთან იყო დაკავშირებული.

იერუსალიმური ღვთისმსახურების განვითარების ამსახველ ძეგლთა რიგებში დგას იადგარიც, როგორც უძველესი, ასევე ახალი რედაქციისა, რადგან ყველა მათგანი არსებითი ნიშნით იერუსალიმური ეპოქის ძეგლებია. ლექციონარის ვნების პარასკევის მრავალფეროვანი და უაღრესად თავისებური აგებულების მქონე ლიტანიები და რიტუალები, რომლებიც ქრისტეს მიწიერი ცხოვრების უკანასკნელი დღეების ყველაზე მძიმე ეპიზოდებს განასახიერებენ, თითქმის უცვლელადაა ასახული უძველეს იადგართა ნუსხებში და წარმოდგენილია არსებითად იმავე პოეტური ტექსტებით, რაც ლექციონარში გვაქვს. მხოლოდ, როგორც მოსალოდნელი იყო, გამდიდრებულია ახალი ჰიმნოგრაფიული მასალით. ვნების პარასკევის 7 მიკრო-ციკლს⁵ ემატება ერთი ან ზოგ შემთხვევაში ორი იბაკო. აღსანიშნავია ერთი გარემოებაც: დიდ პარასკევს ვნების დასდებლების შემდგომ იადგარი სამ-საგალობელს, „გამოავლინეს“, „აქებდითისა“ და „აღვივსენითის“ დასდებლებს უჩვენებს. ლოცვების ასეთ თანმიმდევრობას ლექციონარის ნუსხები არ იცნობს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ „შუალამისანის“ მსახურება უკვე იადგარში ცისკრის ტრადიციულ განგებაშია ჩართული.

⁵ მიკრო-ციკლში შედის: 2ფსალმუნური ჩასართავი და ორი იბაკო.

ვნების პარასკევის განგების განვითარების შემდგომი ეტაპი X ს-ის I ნახევრის „საგალობელნი იადგარში“ (Sin. 34) ჩანს. იგი იოანე-ზოსიმეს მიერ გადაწერილ ლიტურგიკულ კრებულშია შესული. აქ 7 ციკლური პოეტური დასდებელის ნაცვლად 11-ია წარმოდგენილი. დასდებელთა იგივე რაოდენობა აღმოჩენილია ვრცელი რედაქციის ახალ იადგარებში - Sin. 59-ში, Sin. 64-და და იელის იადგარში. მათში არსებულ საგალობლებს, როგორც აკადემიკოსი ელენე მეტრეველი და ლილი ხევსურიანი მოწმობენ, ლექციონარისა და უძველესი იადგარის ნუსხების ძირითადი ნაწილი არ იცნობს [5:778]. მკვლევართა აზრით, საგალობელთა ახალი ჯგუფი იერუსალიმური წარმოშობისაა და პრაქტიკაში ახლად შემოღებული, რასაც განგების სათაური ცხადყოფს: „დიდსავე ხუთშაბათსა შუადამისანი სხუანი იერუსალიმელად. სხუანი შუადამისა დასდებელნი ახალნი ია-ნი“. დასდებელთა რაოდენობის ზრდას პირველად ყურადღება მეცნიერმა ჰელმუტ ლეებმა მიაქცია, რომელიც ვარაუდობს იმის შესაძლებლობას, რომ დასდებლები ახალ პროცესიას გულისხმობენ, რომლის პუნქტები 7-დან 11-მდეა გაზრდილი.

დიდი პარასკევის განგებამ მომდევნო და საბოლოო ფორმირება X ს-ის II ნახევარში განიცადა. ტიპიკონური სიახლე საეკლესიო რეფორმამ და კერძოდ, იერუსალიმური პრაქტიკის კონსტანტინეპოლური ტრადიციით ჩანაცვლებამ განსაზღვრა. ცვლილება შეეხო დასდებელთა პოეტურ ტექსტებსა და სტრუქტურას. სახარების საკითხავთა რიცხვი 12-მდე გაიზარდა, ციკლურ დასდებელთა რაოდენობამ კი, 15-ს მიაღწია. აღნიშნული ცვლილება ქართულ ტრადიციაში, ბიზანტიურის კვალდაკვალ განხორციელდა, რომელიც დიდი მამის, წმიდა ექვთიმე ათონელის სახელს უკავშირდება. მისი თარგმანი, რომელიც წმიდა მამის ავტოგრაფულმა „მცირე სვინაქსარმა“⁶ შემოინახა, მეცნიერულად შეისწავლა და საინტერესო გამოკვლევა მიუძღვნა ქართული ჰიმნოგრაფიის მკვლევარმა, ლილი ხევსურიანმა. მან ექვთიმესეულ დიდი პარასკევის განგებას ახალი რედაქცია უწოდა, რადგან აქ უკვე აღარ ჩანს განგების საკუთრივ იერუსალიმური სახე; იგი პროცესიას კი აღარ გულისხმობს, რომელიც იერუსალიმის ერთი პუნქტიდან მეორეში გადადიოდა, არამედ ტაძრის ფარგლებში შესრულებულ დიდ მსახურებად წარმოგვიდგება [6:53].

წმიდა ექვთიმეს თარგმანში მოყვანილი ტექსტები რამდენადმე განსხვავდება წინარე პერიოდის, იერუსალიმურ ლექციონარის პოეტური დასდებლებისგან. თუმცა, შევუდარეთ რა ისინი ერთმანეთს, ზოგიერთი საგალობლის იდენტურობა დადგინდა. კერძოდ, ლექციონარის III („მოწაფე მოძღვრისა“), VI („თქვედ ღმერთსა ჰურთანო“) და VII ლიტის 2 დასდებელი („ჯვარცმასა დადადებდეს“; „რაჟამს იგი წარსდევ კაიაფას“) დაემთხვა წმიდა ექვთიმეს თარგმანის V₁ და VIII_{1,2} გალობის დასდებლებსა და IV წარდგომას. ხოლო უძველესი იადგარის V_{1,2}, VI₁, VII₁, VIII₁ ლიტის საგალობლები - 5 პოეტურ დასდებელს.

⁶ წმიდა ექვთიმე ათონელის თარგმნილი „მცირე სვინაქსარიდან“ (A-648) ჩვენამდე მხოლოდ შვიდმა ფურცელმა მოაღწია. მის ოთხ ფურცელზე ვნების პარასკევის შუადამის დასდებლების მცირე ფრაგმენტია შემორჩენილი, ხოლო განგების სრული ტექსტი შეტანილია XI ს-ის I ნახევრის მარხვანის სინურ ნუსხაში, Sin. 5, რომელიც გოლგოთაზე ან საბაწმიდის მონასტერშია დაწერილი. ლილი ხევსურიანის მოწმობით, „მცირე სვინაქსარის“ თარგმანი წმიდა ექვთიმე ათონელს დაახლ. X ს-ის 80-90 წლებში უნდა შეესრულებინა. ამასთან, მეცნიერმა კვლევის შედეგად გამოავლინა და დაადასტურა, რომ დასახელებულ ძეგლს არა იერუსალიმური, არამედ კონსტანტინეპოლური რედაქციის აკოლუთია დაედო საფუძვლად.

ამასთან, მე-12 და მე-15 გალობის დასდებლები, „დღეს დამოკიდების ძელსა“, „ესრეთ ეტყოდი უფალო ჰურიათა“, „სჯულისმდებელნო ისრაელნო“ და „დღეს ტაძრისა იგი“, ლექციონარის ვნების დიდი ჟამების (I, III, VI და XI დასდებლები) მსახურებიდანაა გადმოსული. ამდენად, განგების ძველი შრედან ე.წ. ახალ რედაქციაში სულ 9 დასდებელია შენარჩუნებული.

ვნების პარასკევის ცისკრის განგების ისტორიული ჩამოყალიბების ვრცელი პროცესი საბოლოოდ წმიდა გიორგი მთაწმინდელთან დასრულდა. მან წმიდა ექვთიმეს თარგმნილი პოეტური ტექსტის მხოლოდ რედაქტირება⁷ განახორციელა და შეიტანა ჯერ „დიდ სვინაქსარში“ [7:352-361] და შემდეგ მარხვანში (Ath. 38). მართალია, მომდევნო საუკუნეების ძეგლებში განგებამ გარკვეული რედაქტირება მაინც განიცადა, მაგრამ უმნიშვნელოდ. შეიძლება ითქვას, რომ დღევანდელი მსახურების დიდი პარასკევის ცისკრის დასდებელთა პოეტური ტექსტები თითქმის იგივეა, რაც მთაწმინდელთან. აქედან გამომდინარე, დანარჩენი ნუსხები XII საუკუნიდან, ვიდრე ანტონ კათალიკოსის მიერ შედგენილ მარხვანამდე (XVIII ს.), წმიდა გიორგი მთაწმინდელის რედაქციის განვითარების სხვადასხვა ეტაპს ასახავს.

X საუკუნეში თარგმნილი დიდი პარასკევის ცისკრის დასდებლებს მოგვიანებით „შეხვეტილიანი“ უწოდეს. ეს მონუმენტური, საკრალური ციკლი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 70 საგალობელს აერთიანებს. „შეხვეტილიანის“ ნოტირებული საგალობლები წმიდა ექვთიმე კერესელიძისა [8] და დეკ. რაჟდენ ხუნდაძის ხელნაწერებმა [9] შემოგვინახეს. ორივე კრებული დასავლეთ საქართველოს სამგალობლო პრაქტიკაში არსებულ ტრადიციას ასახავს. ხუნდაძის კრებულის ანდერძ-მინაწერიდან ირკვევა, რომ საგალობელთა ცალი ხმა (მთქმელი) წმიდა ფილიმონ ქორძემს გურიაში ანტონ დუმბაძისაგან ჩაუწერია, დეკანოზ რაჟდენს კი გაუმრავალხმინებია [9:2r]. წმიდა ექვთიმეს ხელნაწერი კი ხუნდაძის ხმებით შევსებული ვერსიის რედაქტირებული და გადათეთრებული ვარიანტია, რაც ჩვენ მიერ ჩატარებულმა შედარებითმა ანალიზმა გამოავლინა.

„შეხვეტილიანის“ აღმოსავლეთ საქართველოში შესრულების ტრადიციის შესახებ მწირი მასალა არსებობს. მოგვეპოვება რამდენიმე საგალობლის მხოლოდ ბანის პარტიის ნოტირებული ვერსია, რომელთაც წმიდა პოლიევქტოს კარბელაშვილის შვილის, მღვდ. ფილიმონის ხელნაწერებში [10] მივაკვლიეთ და ცნობა იმის შესახებ, რომ დასახელებული ციკლი აქაც დასავლეთ საქართველოს მსგავსად, გალობით სრულდებოდა. ამ ინფორმაციას გვაწვდის წმიდა პოლიევქტოს კარბელაშვილი თავის ცნობილ ნაშრომში „ქართული საერო და სასულიერო კილოები“. წიგნში მოყვანილია არქიმანდრიტი მაკარი ბატატაშვილის 1863 წლით დათარიღებული წერილი, რომელშიც სასულიერო პირი დიმიტრი ბერივეს (ცნობილი მელექსე) სიხარულისაგან აღტაცებული მოუთხრობს გალობის წარმართვის საქმეს ბოდბის წმიდა ნინოს სობოროში და წერს: „... მოდი ნახე, ... როგორი გალობის სწავლა და ეკლესიაში ვითარი განწყობილი გალობა არის; ამ ჯვარცმის კვირის დღეებში უფრო მეტი გალობით ითქვა „შეხვეტილიანი“-ო [11:71].

„შეხვეტილიანის“ I ნაწილი 15 მიკრო-ციკლს მოიცავს. თითოეული მათგანი რამდენიმე დასდებელს აერთიანებს, რომელიც ღვთისმშობლის მუხლით ბოლოვდება.

⁷ წმიდა გიორგი მთაწმინდელმა ექვთიმეს თარგმანი ტექსტოლოგიური თვალსაზრისით გამართა და თითოეულ დასდებელს ხმა მიუთითა, რადგან ექვთიმესთან საგალობლებს ხმაზე მითითება არ გააჩნდათ.

დასდებელთა რაოდენობა 2-დან 7-მდე მერყეობს. აღსავლები თავისი შედგენილობით გარკვეულწილად საცისკრო კანონს მოგვაგონებს. ამ მოსაზრებას საფუძველს უმყარებს ის ფაქტიც, რომ X-XVIII სს-ების ყველა ხელნაწერში „აღსავლის“ ნაცვლად „გალობა“ აღნიშნული. ტერმინი „აღსავალი“ პირველად ანტონ კათალიკოსის დროინდელ დასტამბულ მარხვანშია [12:522] მითითებული და მის შემდეგ მკვიდრდება პრაქტიკაში. ვვარაუდობთ, რომ მთაწმინდელებს და შემდგომი პერიოდის გადამწერ-რედაქტორებს „მეხვეტილიანი“ სტრუქტურულად ისე ჰქონდა გააზრებული, როგორც საცისკრო კანონი, ანტონს კი, როგორც საცისკრო აღსავალი.

ქართულ ტრადიციაში არსებულ დიდი პარასკევის აღსავლებს ძლისპირები არ გააჩნიათ, მიუხედავად იმისა, რომ ბერძნული დედანში ისინი თვითავაჯი ძლისპირებითაა წარმოდგენილი. არც წმიდა ექვთიმე ათონელს და შემდგომ, არც წმიდა გიორგი მთაწმინდელს შუაღამის დასდებლებისთვის ძლისპირები არ უთარგმნიათ. ამის მიზეზი ახსნილია თავად წმიდა გიორგი მთაწმინდელის მიერ ყველასათვის კარგად ნაცნობი და უაღრესად საყურადღებო ანდერძ-მინაწერით, რომელიც სწორედ ვნების პარასკევის აღსავლებზეა დართული: „ესე უძლისპიროდ გვეთარგმნეს და უგემურად მოჰვიდოდა. ბერძნულად თვითავაჯნია და მათ იციან და ჩვენ თუმცა ავაჯი დაგუედვა, ვინ დაისწავლიდა. აწ შეწევნითა ღმრთისაითა ძლისპირსა ზედა ვთარგმნეთ. რაიცა ძლისპირი მოუვიდოდის, რომელი ძუელთაგან ვიცით, იგი ეგრეთვე ითქმოდის და სხუაი ძლისპირსა ზედა, რომელიცა იყოს ბერძნულად დ გოი არს ესე. წაედ, ეძიებდით, რვათამცა ხმათა შინა არს და კმა არს ჩუენდა. თუ არა ამას ა გუერდსა ოთხასი წელი უფრო ახსოვს“ (Ath 38:320r). ამ შენიშვნის თანახმად, ათონელი წმიდა მამა ვნების პარასკევის აღსავლებს ბერძნული თვითავაჯი ძლისპირების ნაცვლად, „ძუელთაგან“ ცნობილ, ტრადიციულ ჰანგს უფარდებს, მიჯნავს მათ ქართველთათვის უცნობი ბერძნულისაგან და დასძენს, რომ მის მიერ შერჩეული ჰანგის ხნოვანება ოთხას წელს აღემატება. უდავოა, რომ ხელნაწერში საუბარია ორიგინალურ, თვითმყოფად კილოზე, რომელიც მთაწმინდელის მიხედვით, წმიდა იოანე დამასკელის წინარე ეპოქისა უნდა ყოფილიყო. ქართული საეკლესიო მუსიკის აღმოცენებასაც მეცნიერები, სწორედ ამ ეპოქაში ვადაუდობენ.

მსგავსი ტიპის შენიშვნა წმიდა გიორგი მთაწმინდელს თავის ავტოგრაფულ პარაკლიტონშიც (Ath. 45) აქვს დართული, რომელსაც მეცნიერმა ლილი ხევსურიანმა მიაკვლია და განმარტა. აქ ათონელ მამას ახლად თარგმნილი შუაღამის დასდებლები ბერძნულის ნაცვლად ტრადიციულ „ავაჯზე“ გაუწყვია, რადგან ახალი ჰანგის დადების შემთხვევაში, არ იყო დარწმუნებული, რომ შეძლებდა გავრცელებასა და დამკვიდრებას.

მიუხედავად ამ განმარტებისა, ჩვენთვის უცნობია, რომელი ქართული ძლისპირი უნდა ყოფილიყო დადებული ამა თუ იმ გალობაზე, რადგან წმიდა მამის ხელნაწერს მსგავსი მითითება არ გააჩნია. საინტერესოა, რომ ძლისპირები დაფიქსირებულია ანტონ კათალიკოსის მარხვანში, სადაც თითოეულ დასდებელს თავისი დედან-ჰანგი შეესაბამება.

იმისათვის, რომ გაგვერკვია, თუ რომელი საუკუნიდან ჩნდება ძლისპირთა წამმდარება განგების ტექსტში, აუცილებელი შეიქმნა შეგვესწავლა XII-XVII საუკუნეების მარხვანთა შემდეგი რედაქციები:

Jer. 61 — XII ს-ის წმიდა გიორგი მთაწმინდელის რედაქციის მარხვანი;

A-258 — XIII ს-ის მარხვანი;

A-147 — XIV-XV სს-ის მარხვანი;

A-248 — XVI-XVII სს-ის მარხვანი.

ჩვენ მიერ მოძიებულ რედაქციებში ძლისპირთა დედან-ჰანგები, რომლის მიხედვითაც დასდებლები სრულდებოდა, მითითებული აღმოჩნდა XIII-XV საუკუნეების მარხვანებში, A-258-სა და A-147-ში. XVI-XVII ს-ის ნუსხა (A-248) მთაწმინდელის ავტოგრაფულ მარხვანსა (Ath. 38) და XII ს-ის რედაქციას (Jer. 61) უახლოვდება, რაც გამოიხატება პოეტურ ტექსტთა ზუსტ თანხვედრასა და დედან-ჰანგების დაუფიქსირებლობაში. ამდენად, დედან-ჰანგები არაა დაზუსტებული, არა მხოლოდ ათონელი წმიდა მამის ხელნაწერში, არამედ მის რედაქციებად მიჩნეულ და ძვენ მიერ მოძიებულ ორ ძეგლში (Jer. 61; A-248). ძლისპირები პირველად XIII მარხვანის რედაქტორმა შეიტანა. შესაძლებელია დედან-ჰანგები XII ს-ში უკვე იყო მითითებული, თუ იმ ფაქტს გავითვალისწინებთ, რომ ამ პერიოდში მეტად მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორცილდა გალობის სფეროში და კონკრეტულად პოეტურ ტექსტზე ჰანგის დადების თვალსაზრისით. ვგულისხმობ არსენ ბერის მიერ მესამედ თარგმნილ ანდრია კრიტელის დიდ კანონს, რომელზეც „ხმისა დადებისა ხელყოფაი“ დავით აღმაშენებელს იოანე კათალიკოსისთვის უბრძანებია. საფიქრებელია, რომ დიდი პარასკევის დასდებლებს დედან-ჰანგები ამავე პერიოდში დაედო. თუმცა ეს ჰიპოტეზაა და შემდგომ კვლევას საჭიროებს.

„შეხვეტილიანის“ მონუმენტურ ციკლის 70 დასდებელი სხვადასხვა ხმისა და გალობის 27 დედან-ჰანგითაა წარმოდგენილი, რაც იმას ნიშნავს, რომ თითო ძლისპირს რამდენიმე დასდებელი შეესაბამება. ზოგჯერ დედან-ჰანგი შეიძლება ერთი აღსავლის ფარგლებში განმეორდეს, ან სხვადასხვა მიკრო-ციკლში. მაგალითად, ძლისპირზე „განმადლიერებელ მექმენ“ (III გალობა, ხმა 8) მხოლოდ VII აღსავლის ორი დასდებელი იგალობება, ხოლო დედან-ჰანგი „რომელმან განავლო ზღვა მეწამული“ (I გალობა, ხმა 6) II, XI და XIII აღსავლებში გვხვდება. არის გამონაკლისი შემთხვევაც, როდესაც ერთ აღსავალში შემავალ ყველა დასდებელს ერთი ძლისპირი შეეფარდება, ისე, როგორც ესაა საცისკრო კანონში. ასეთია III აღსავალი, თავისი 7 დასდებლით, რომელიც ერთ დედან-ჰანგზე „განაპო სიღრმე“ (I გალობა, ხმა 2) იგალობება.

ჩვენ „შეხვეტილიანის“ დედან-ჰანგები ძლისპირთა ძველ კრებულებშიც მოვიძიეთ და თითქმის უმრავლესობას X ს-ის ხელნაწერებში მივაკვლიეთ [13, 14]. ბევრი მათგანი ნოტირებული სახით ხელნაწერ თუ ახალ გამოცემულ კრებულებშიც [15,16] მოგვეპოვება.

ძლისპირ-წამდვარებული დასდებლების გარდა „შეხვეტილიანში“ რამდენიმე საგალობელი დედან-ჰანგის გარეშეა წარმოდგენილი. მუსიკალური ანალიზის შედეგად აღმოჩნდა, რომ ეს დასდებლები ტროპრის, დასდებლისა და ტროპარ-დასდებლის ხმათა ჯგუფს განეკუთვნებიან. ე. ი. თუ დასდებელი დედან-ჰანგით გვხვდება – ის ძლისპირია, თუ მის გარეშეა და მხოლოდ ხმა აქვს მითითებული, აღნიშნული სახეობის ჯგუფში შედის.

ვნების პარასკევის ციკლის თავისებურმა მუსიკალურ-ინტონაციურმა აგებულებამ გვიბიძგა დაგვეყენებინა საკითხი ტერმინ „შეხვეტილიანის“ ახლებურ გააზრებასთან დაკავშირებით. თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ ლიტურგიკულ პრაქტიკაში არსებულ არც ერთ მუსიკალურ ციკლში ასეთი რაოდენობის ძლისპირები არ იგალობება. ამიტომაც, ვფიქრობთ, რომ ტერმინი ორი მნიშვნელობით უნდა იყოს გამოყენებული, როგორც ამას მისი ეტიმოლოგია⁸ უჩვენებს [17:697-698]. ერთი მნიშვნელობით, ის

⁸ „ხვეტ“ ძირს ეტიმოლოგიურად გვემა-განმარცვასთან აკავშირებენ, შეროვების შინაარსის „ხვეტ“ კი, „ხვაკი“, „ხვინი“, „უხვი“, „გროვა“, „მოსავალი“, „ბევრი“ ფორმებიდან უნდა ამოდიოდეს. ანუ ამჟამად,

უკავშირდება ვნებას, პასიონს, როგორც ამას „შეხვეტილიანის“ პირველი მკვლევარი, მუსიკისმცოდნე მანანა ღვთისიაშვილი ვარაუდობს [18:81-82]; მეორე გააზრებით კი, ერთად თავმოყრილს, შეგროვებულს უნდა ნიშნავდეს. ასეთი ვარაუდის გამოთქმის შესაძლებლობას გვიქმნის ქართულ საერო ლიტერატურაში XVIII საუკუნიდან დამკვიდრებული ტერმინის „შეხვეტილიანის“ განმარტება. აქ იგი აღნიშნავდა ისეთი ტიპის კრებულს, რომელშიც თავმოყრილი იყო სხვადასხვა ავტორისა და სხვადასხვა შინაარსის მხატვრული ძეგლები, რის გამოც მას უწოდებდნენ „შეხვეტილიანს“, ე.ი. შეხვეტილს, ერთად შეყრილს, თავმოყრილს [19:96-97]. თანამედროვე ტერმინოლოგიით, როგორც გ. მიქაძე აღნიშნავს „შეხვეტილიანს“ უწოდებენ ალმანახს ან ანთოლოგიას [20:266]. აღნიშნულის ნათელი მაგალითია მღვდელ ნიკოლოზ ჩაჩიკაშვილის, „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთი გადამწერის, 1779 წლით დათარიღებული წიგნი — „შეხვეტილიანი“ (A-999 და A-860). მასში შესულია შემდეგი მხატვრული ნაწარმოებები: „ვეფხისტყაოსანი“, „მაჰნამე“, „ზაჰიანი“, „სამიანი“, „როსტომიანი“, „ამირან-დარეჯანიანი“ და „ომანიანი“.

ჩვენ შემთხვევაში „შეხვეტილიანი“ შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც ძლისპირთა და სხვადასხვა ჟანრისა და ლიტურგიკული ფუნქციის მქონე საგალობელთა ერთობლიობა, ანთოლოგია.

ამრიგად, კვლევის საფუძველზე გამოიკვეთა „შეხვეტილიანის“ ციკლის ჩამოყალიბების უმნიშვნელოვანესი ეტაპები, იერუსალიმური ტრადიციისა და კონსტანტინეპოლის დიდი ეკლესიის ტიპიკონით განსაზღვრული. აღმოჩნდა, რომ „შეხვეტილიანის“ სრული ვერბალური შრე უკვე XI ს-ში ყოფილა საბოლოოდ მოწესრიგებული, რომელმაც უძველესი ფენის საგალობელთა ნაწილი რამდენადმე შეინარჩუნა. ამ პერიოდში ფორმირებულმა განგებამ დღემდე თითქმის უცვლელი სახით მოაღწია.

ციკლის სტრუქტურული და მუსიკალური ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ დიდი პარასკევის შუაღამის დასდებლებისთვის ახალი ჰანგები არ შეუთხზავთ. მისთვის ნაცნობი ძლისპირები და დასდებლები შეუფარდებიათ, რომელიც ყველა დახელოვნებულმა მგალობელმა კარგად იცოდა და ერთად თავმოყრილს „შეხვეტილიანი“ უწოდა.

გამოყენებული ლიტერატურა:

- 1) Помяловски, И, В. Паломничество по святым местам конца IV века. В книге: Православный палестинский сборник. Вып. 20. СПб. Москва. 1889.
<http://krotov.info/acts/04/3/palomn.htm>
- 2) Желтов, М, С; Ткаченко, А, А. Великая пятница. Православная Энциклопедия.
<http://www.pravenc.ru/text/150067.html>.
- 3) Кекелидзе, К, А. Иерусалимский канонарь. Киев. библиотека Киевской Духовной Академии. 1912, 2013.

„ხვეტ“ ძირთან დაკავშირებული ამ ორი შინაარსის მსგავსება გვიანდელი პარონიმული მოვლენაა, ეტიმოლოგიურად კი, ეს მნიშვნელობები ორი სხვადასხვა შინაარსის ძირიდან წამოსულად უნდა მივიჩნიოთ. ამგვარი მსჯელობის საფუძველს იძლევა ჰაინც ფენრიხისა და ზურაბ სარჯველადის „ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი“.

- 4) Tarchnischvili M. Le grand Lectionnaire de l'eglize de Jerusalem (V-VIII siecle). Paris. Louvain, 1959. Tome I.
- 5) მეტრეველი, ელ., ხევსურიანი ლ., ჭანკიევი, ც., (გამომცემელი). უძველესი იადგარი. თბილისი, „მეცნიერება“, 1980.
- 6) ხევსურიანი, ლ. ვნების პარასკევის ანამნეტური ღამისთევა. წიგნში: ნარკვევები ძველი ქართული სასულიერო მწერლობის ისტორიიდან. ტომი III. თბილისი, აღმსარებელი 2016.
- 7) დოლაქიძე, მ., ჩიტუნაშვილი, დ. (გამომცემელი). დიდი სვინაქსარი, გიორგი მთაწმინდელი. თბილისი: კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, 2017.
- 8) კერესელიძე, წმიდა ექვთიმე აღმსარებელი. გალობა მარხვან-შეხვეტილიანი. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ხელნაწერი Q686, წიგნი XI.
- 9) ხუნდაძე, რ. შეხვეტილიანი, დიდი პარასკევის ცისკრის საგალობელი. საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის არქივის ხელნაწერი, №2128.
- 10) კარბელაშვილი, ფ. დიდი ხუთშაბათისა და დიდი პარასკევის საგალობლები. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო არქივის ხელნაწერი, პოლიევქტოს კარბელაშვილის პირადი ფონდი №1461, საქმე 200.
- 11) კარბელაშვილი, პ. ქართული საერო და სასულიერო კილოები. თბილისი, „კაბადონი“, 1898, 2011.
- 12) ტრიოდინი, რომელ არს სამ-საგალობელი წმიდათა და დიდთა მარხვათა. ტფილისი, 1793.
- 13) მეტრეველი, ელ. ძლისპირნი და ღვთისმშობლისანი, ორი ძველი რედაქცია. X-XI სს. ხელნაწერების მიხედვით. თბილისი, „მეცნიერება“, 1971.
- 14) კიკნაძე, გ. ნევმირებული ძლისპირნი, ხელნაწერი A-603. თბილისი, 1982.
- 15) ჯანგულაშვილი, ჯ. (შემდგენელი). ქართული გალობა, ანთოლოგია, ტომი VIII. თბილისი, 2016.
- 16) ერქვანიძე, მ. (შემდგენელი). ქართული საეკლესიო გალობა, ტომი VIII, თბილისი, 2018.
- 17) ფენრიხი, პ., სარჯველაძე, ზ., ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი. მეორე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა. თბილისი, სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი. 2000.
- 18) ღვთისიაშვილი, მ. ქართული პასიონის კვლევის პირველი შედეგები. თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის სამეცნიერო შრომების კრებული. თბილისი, 2000. გვ. 78-96.
- 19) ტატიშვილი, ლ. ვეფხისტყაოსნის გადამწერნი. თბილისი, 2000. გვ. 96-97. http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/2823/1/VefxisyaosnisGadamcerni_2000.pdf
- 20) მიქაძე, გ. ვეფხისტყაოსნის გადამწერი ნიკოლოზ ჩაჩიკაშვილი. შოთა რუსთაველის საიუბილეო კრებული. თბილისი, 1966 წელი, გვ. 264-267.

Article received: 2018-07-05